სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180292176
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.03.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მერაბ ჯიხვაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.ქუთაისი თამარ მეფის ქ #62
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(0431) 25-08-72
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	85695567378518

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას თვრამეტი წლის ოც მარტს, მე, საქართველოს ნოტარიუსს, მერაბ ჯიხვაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე ქ. ქუთაისი, თამარ-მეფის ქ. №62-ში, მეორე სართულზე, მომმართა გიორგი კოხოძემ, მან წარმოადგინა წინამდებარე თანხმობა და მოითხოვა მასზე თავის ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად გიორგი კოხოძემ (დაბ. 12.12.1974წ. ქუთაისში, პირადი №60001093820) მომმართა.

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. მას განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ეკუთვნის ზემოთ აღნიშნულ პირს. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტების ნამდვილობას და მის კანონთან შესაბამისობას, შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე. მან განმარტების შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე, რასაც ვამოწმებ ჩემი ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით.

დამოწმებულია ერთ ეგზემპლარად.

გადახდილია საზღაური 2 (ორი) ლარი თანახმად ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურეობის ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №507 (29.12.2011წ.) მუხლი 31 და მუხლი 31.3, დ.ღ.გ.-ს 0.36 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა), ასევე 2 (ორი) ლარი დ.ღ.გ.-ს ჩათვლით ელექტრონულ სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური მუხლი 39-1), სულ გადახდილია 4.36 (ოთხი და ოცდათექვსმეტი) ლარი.

ნოტარიუსი: მერაბ ჯიხვაშვილი

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე გიორგი კოხოძე პ/ნ 60001093820 თანახმა ვარ 01.11.13.001.071 საკადასტრო კოდზე მოხდეს არქიტექტურული პროექტის კორექტირება და გაიცეს კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტზე მშენებლობის ნებართვა.

ასევე თანახმა ვარ 01.11.13.001.071 საკადასტრო კოდზე საჯარო რეესტრში განხორციელდეს შენობის ფართების განშლის რეგისტრაცია.

გიორგი კოხოძე

თანხმობა

მე ციური პატაშური პ/ნ 58001004925 თანახმა ვარ 01.11.13.001.071 საკადასტრო კოდზე მოხდეს არქიტექტურული პროექტის კორექტირება და გაიცეს კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტზე მშენებლობის ნებართვა.

ასევე თანახმა ვარ 01.11.13.001.071 საკადასტრო კოდზე საჯარო რეესტრში განხორციელდეს შენობის ფართების განშლის რეგისტრაცია.

ც. პატაშური ციური

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180289257
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.03.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ელენა გელაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მეტროს სადგურ ,,ახმეტელი''-დან მუხიანში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, სართული 2 ფართი 6
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+99598101011
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	47098359093918

ორი ათას თვრამეტი წლის ოც მარტს, მე, ნოტარიუსს ელენა გელაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, მეტროს სადგურ "ახმეტელი"-დან მუხიანში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, II სართული, ფართი #6, მომმართა მოქალაქემ ციური პატაშურმა მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ციური პატაშურმა (დაბ. 10.07.1963წ., პ/ნ 58001004925, გაცხ. თბილისი, გლდანი, მ/რ7, კორპუსი №4, ბინა №49) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მან მოითხოვა განცხადების/თანხმობის პროექტის შედგენა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და ასევე მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება. ხელმომწერი პირის სურვილითა და კარნახით მე ჩავიწერე მის მიერ ნაკარნახევი ტექსტი და შევადგინე წინამდებარე განცხადება/თანხმობა. ზემოხსენებულმა მოქალაქემ ჩემი თანდასწრებით პირადად წაიკითხა წინამდებარე განცხადებ/თანხმობა, დაადასტურა, რომ განცხადების/თანხმობის ტექსტს თვითონ გაეცნო და იგი მის ნებას სრულად შეესაბამება. ზემოხსენებულმა მოქალაქემ ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს, შესრულებულს 1 (ერთი) ეგზემპლარად. სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია სანოტარო მომსახურების საზღაური: 2 (ორი) ლარი - `სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31.3-ე მუხლის საფუძველზე, 1 (ერთი) ლარი განცხადების პროექტის შედგენისათვის ამავე დადგენილების - 31.14-ე მუხლის საფუძველზ, სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 2 (ორი) ლარი - ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და დღგ 0.54 (ნული ლარი და ორმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ელენა გელაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა

,,დარიალის N 1/29“ -ის დაფუძნების შესახებ

2016წ.

მუხლი 1.

ხელშეკრულების საგანი

1.ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების მონაწილეები კისრულობენ ვალდებულებას ერთობლივად, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების სრული დაცვით, იმოქმედონ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

მუხლი2.

ამხანაგობის მიზანი

1.ამხანაგობის მიზანია წინამდებარე ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული პირის შეუქმნელად, განსაზღვრული წესით და ვადებში ერთობლივად განახორციელონ ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ , (ნაკვეთიN1/29) ობიექტის მშენებლობა და შემდგომში მისი დასრულება, რომელშიც განთავსებული იქნება: საოფისე, კომერციული ფართები და აგრეთვე პროექტით გათვალისწინებული სამეურნეო და სხვა დანიშნულების ფართები, ხოლო მშენებლობის დასრულების შემდეგ, ამ ფართების როგორც ამხანაგობის წევრთა თანასაკუთრების, მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის განსახორციელებლად.

მუხლი 3.

ამხანაგობის სახელწოდება და სტატუსი

1. ამხანაგობის სრული სახელწოდებაა: ,,დარიალის N1/29“ (შემდგომში- ,,ამხანაგობა“).

2.ამხანაგობის ხელმძღვანელობის ადგილსამყოფელი განთავსებული იქნება მისამართზე: ქალაქი თბილისი, მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ , (ნაკვეთიN1/29);

3.ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი და იგი არ ასახავს სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას შემოსავლების მიღების მიზნით. ამხანაგობა შექმნილია წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით დადგენილი მიზნის შესაბამისად.

4.ამხანაგობა საბანკო დაწესებულებებში უფლებამოსილია გახსნას საბანკო ანგარიშები საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარე;

5.გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციისა და საბანკო ანგარიშის გახსნისთვის საკმარისი იქნება ამხანაგობის წამომადგენლის უფლებამოსილების მქონე პირის (შემდგომში ამხანაგობის თავმჯდომარის) მიერ წინამდებარე შეთანხმების დედნის ან კანონმდებლობით დამოწმებული ასლის წარდგენა და წარმომადგენლობა მესამე პირებთან წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4.

ამხანაგობის დამფუძნებლები, დამფუძნებელთა შენატანები ამხანაგობაში და სხვა ვალდებულებები:

<u>1.1.ამახანაგობის დამფუძნებლებს წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით წარმოადგენენ შემდეგი პირები და მათი შენატანები ამხანაგობაში განსაზღვრულია შემდეგნაირად:</u>

1) ზაურ ზაზაძე (დაბად.03.12.1949, მისამართი: სოხუმი ტიტოვის II გას. N 33, პ/ნ # 62001023187, პ.მ 13IG96581, გაც. 2014-09-16):

შეაქვს ამხანაგობაში მისი კუთვნილი უძრავი ქონება მიწის ნაკვეთი (თანასაკუთრებიდან 506 კვ.მ ფართიდან ნახევარი - 253 კვ.მ ფართი) სრულად, მდებარე მისამართზე:

ქალაქი თბილისი, მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ , (ნაკვეთიN1/29); მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.11.13.001.071

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: მე-3 სართულის ფართის ნახევარს;

2) ნანი ჭირაქაძე (დაბად.07.09.1948წ. გაცხადებული მისამართი: თბილისი ზღვისუბნის დას. IV მ/რ კორ. 11 ბ. 7 , პ.ნ 01021002068, პ.მ 13IE66731, გაც.: 2014-05-23):

შეაქვს ამხანაგობაში მისი კუთვნილი უძრავი ქონება მიწის ნაკვეთი (თანასაკუთრებიდან 506 კვ.მ ფართიდან ნახევარი - 253 კვ.მ ფართი) სრულად, მდებარე მისამართზე:

ქალაქი თბილისი, მუხიანის საცხოვრებელი რაიონი, შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ , (ნაკვეთიN1/29); მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.11.13.001.071

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: მე-3 სართულის ფართის ნახევარს;

3) მაია ვაწაძე (დაბად.06.05.1964, მისამართი: თბილისი გ.სააკაძის ქ. N 173, პ/ნ # 01036000401, პ.მ ა1047251, გაც. 2007-03-06) :

შეაქვს ამხანაგობაში მისი კუთვნილი უძრავი ქონება მიწის ნაკვეთი 70 კვ.მ ფართი სრულად, მდებარე მისამართზე:

ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ , (ნაკვეთიN1/29); მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.11.13.001.071

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: 1-ლი სართულის ფართი 70 კვ.მ. ქუჩის მხრიდან შენობის მარჯვენა მხარეს (შენობის წინა მხარე);

4) თამარ ტრიანდაფილიდი (დაბად.16.11.1971წ. გაცხადებული მისამართი: ხონი ი.ჭავჭავაძის ქ. N 19, პ.ნ 55001001060, პ.მ 13IM35202 , გაც.: 2015-06-08) წარმოდგენილი მინდობილი პირით მაია ვაწაძის (დაბად.06.05.1964, მისამართი: თბილისი გ.სააკაძის ქ. N 173, პ/ნ # 01036000401, პ.მ ა1047251, გაც. 2007-03-06) სახით (თანახმად მინდობილობისა რ.რ : **N160746783, დამოწმებული:** 07 ივლისი 2016წ. ნოტ. ანა ქაჯაიას მიერ):

შეაქვს ამხანაგობაში მისი კუთვნილი უძრავი ქონება მიწის ნაკვეთი 70 კვ.მ ფართი სრულად, მდებარე მისამართზე:

ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ , (ნაკვეთიN1/29); მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.11.13.001.071

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: 1-ლი სართულის ფართი 70 კვ.მ ქუჩის მხრიდან შენობის მარჯვენა მხარეს (შენობის წინა მხარე);

5) ანდრო შალიკაშვილი (დაბად.22.09.1982წ. გაცხადებული მისამართი: რუსთავი ივ.ტურგენევის ქ. N 52 , პ.ნ 35001031993, პ.მ 13IM17148, გაც.: 2015-06-05):

შეაქვს ამხანაგობაში მისი კუთვნილი უძრავი ქონება მიწის ნაკვეთი 80 კვ.მ ფართი სრულად, მდებარე მისამართზე:

ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ , (ნაკვეთიN1/29); მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.11.13.001.071

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: 1-ლი სართულის ფართი 80 კვ. ქუჩის მხრიდან შენობის მარჯვენა მხარეს (შენობის უკანა მხარე);

6) თამარ ფაჩულია (დაბად.08.05.1976, მისამართი: თბილისი კ.მესხის ქ. II აღმ. N 9, პ/ნ # 01017009551, პ.მ ბ1060172, გაც. 2007-05-03):

შეაქვს ამხანაგობაში მისი კუთვნილი უძრავი ქონება მიწის ნაკვეთი 37 კვ.მ ფართი სრულად, მდებარე მისამართზე:

ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ , (ნაკვეთიN1/29); მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.11.13.001.071

და ასევე, შეაქვს ამხანაგობაში მშენებლობის წარმოების მიზნით ფულადი შენატანი - 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში,

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: 1-ლი სართულიდან 40 კვ.მ ფართი, ქუჩის მხრიდან შენობის მარცხენა მხარეს (წინა ვიტრაჟული ფართი);

7) გიგა ივანიძე (დაბად.09.02.1993წ. გაცხადებული მისამართი: **ასპინძა ს. აწყვიტა მესხეთის ქ. N 17**, პ.ნ 05001012759, პ.მ 13IB15651, გაც.: 2013-07-23):

შეაქვს ამხანაგობაში მშენებლობის წარმოების მიზნით ფულადი შენატანი - 25 000 (ოცდახუთი ათასი)აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში (ავტოპარკინგისთვის) და 40 000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში (პირველი სართულისთვის),

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: მთლიანი ავტოპარკინგის ნახევარი, და პირველ სართულზე დარჩენილ ფართს (გაუნაწილებელ ფართს) იამზე თავართქილაძესთან (დაბ:27.04.1947, მისამართი: **თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 40 ბ. 21**, პ/ნ # 01026009306, პ.მ ბ0266039, გაც. 1999-09-23) ერთად თანაბარწილად;

8) იამზე თავართქილაძე (დაბ:27.04.1947, მისამართი: **თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 40 ბ. 21**, პ/ნ # 01026009306, პ.მ ბ0266039, გაც. 1999-09-23):

შეაქვს ამხანაგობაში მშენებლობის წარმოების მიზნით ფულადი შენატანი - 40 000 (ორმოცი ათასი)აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში,

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: პირველ სართულზე დარჩენილ ფართს (გაუნაწილებელ ფართს) გიგა ივანიძესთან (დაბად.09.02.1993წ. გაცხადებული მისამართი: **ასპინძა ს. აწყვიტა მესხეთის ქ. N 17**, პ.ნ 05001012759, პ.მ 13IB15651, გაც.: 2013-07-23) ერთად თანაბარწილად;

9) **პაატა მაისურაძე** (დაბად.1978-12-21. გაცხადებული მისამართი: **თბილისი ვაშლიჯვარი, საჯარიშვილის ქუჩა N21**, პ.ნ 05001000617, პასპორტის N 06AD03493, გაც.: 2007-03-02) :

შეაქვს ამხანაგობაში მშენებლობის წარმოების მიზნით ფულადი შენატანი - 25 000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში, სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს - მთლიანი ავტოსადგომის ნახევარი;

10) **ნოე ილია ლინდნერი (დაბ:**10.04.2002, პ.ნ 01401124613, გაცხადებული მისამართი: **თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 40 ბ. 21) წარმოდგენილი მისი კანონისმიერი წარმომადგენლის დედის** თამარ ფაჩულიას (დაბად.08.05.1976, მისამართი: თბილისი კ.მესხის ქ. II აღმ. N 9, პ/ნ # 01017009551, პ.მ ბ1060172, გაც. 2007-05-03) სახით :

შეაქვს ამხანაგობაში მშენებლობის წარმოების მიზნით ფულადი შენატანი - 50 000 (ორმოცდაათი ათასი)აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში,

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: მე-4 სართულის ფართის ნახევარი ;

11) **ქეთევან ლინდნერი (დაბ:**24.09.2003, პ.ნ 01301124631, გაცხადებული მისამართი: **თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 40 ბ. 21) წარმოდგენილი მისი კანონისმიერი წარმოამადგენლის დედის** თამარ ფაჩულიას (დაბად.08.05.1976, მისამართი: თბილისი კ.მესხის ქ. II აღმ. N 9, პ/ნ # 01017009551, პ.მ ბ1060172, გაც. 2007-05-03) სახით :

შეაქვს ამხანაგობაში მშენებლობის წარმოების მიზნით ფულადი შენატანი - 50 000 (ორმოცდაათი ათასი)აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში,

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: მე-2 სართულის ფართის ნახევარს;

12) **სოფია ელენე ლინდნერი (დაბ:**21.10.2010, პ.ნ 01401129982, გაცხადებული მისამართი: **თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 40 ბ. 21) წარმომადგენლის დედის** თამარ ფაჩულიას (დაბად.08.05.1976, მისამართი: თბილისი კ.მესხის ქ. II აღმ. N 9, პ/ნ # 01017009551, პ.მ ბ1060172, გაც. 2007-05-03) სახით :

შეაქვს ამხანაგობაში მშენებლობის წარმოების მიზნით ფულადი შენატანი - 50 000 (ორმოცდაათი ათასი)აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში,

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: მე-2 სართულის ფართის ნახევარს;

13) **გიორგი კონსტანტინე ლინდნერი (დაბ:**29.04.2008, პ.ნ 01654000121, გაცხადებული მისამართი: **თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 40 ბ. 21) წარმომადგენლის დედის** თამარ ფაჩულიას (დაბად.08.05.1976, მისამართი: თბილისი კ.მესხის ქ. II აღმ. N 9, პ/ნ # 01017009551, პ.მ ბ1060172, გაც. 2007-05-03) სახით:

შეაქვს ამხანაგობაში მშენებლობის წარმოების მიზნით ფულადი შენატანი - 50 000 (ორმოცდაათი ათასი)აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში,

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: მე-4 სართულის ფართის ნახევარს ;

14) თამარ გზირიშვილი (დაბად.11.09.1973, მისამართი: **თბილისი გლდანი III მ/რ კორ. 11 ბ. 105**, პ/ნ # 47001008174, პ.მ 13IM95670, გაც. 2015-06-30) :

შეაქვს ამხანაგობაში მშენებლობის წარმოების მიზნით ფულადი შენატანი - 35 000(ოცდათხუთმეტი ათასი)აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში,

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: მე-5 სართულის ფართი 120 კვ.მ.

15) მაყვალა მაისურაძე (დაბად.07.11.1953, მისამართი: **საქართველო, ახალციხეს მუნიციპალიტეტი, ქალაქი ახალციხე, სერაპიონ ზარზმელის ქუჩა, N 51, ბინა 22**, პ/ნ # 05001005417, პ.მ 15IE08204, გაც. 2016-08-08) წარმოდგენილი მისი მინდობილი პირით მარიამ ბერიძის(დაბად.17.04.1995, მისამართი: **დ. ასპინძა ი.გოგებაშვილის ქ. N 10**, პ/ნ # 05001012610, პ.მ 15IC89788, გაც. 2016-06-17) სახით, თანახმად მინდობილობისა რ.რ N160885492, დამოწმებული : ნოტ. ლიანა მინაძის მიერ, 09.08.2016წ.

შეაქვს ამხანაგობაში მშენებლობის წარმოების მიზნით ფულადი შენატანი - 60 000 (სამოცი ათასი)აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში,

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: - მე-6 სართულის ფართი სრულად;

16) მარიამ ბერიძე (დაბად.17.04.1995, მისამართი: **დ. ასპინძა ი.გოგებაშვილის ქ. N 10**, პ/ნ # 05001012610, პ.მ 15IC89788, გაც. 2016-06-17):

შეაქვს ამხანაგობაში მშენებლობის წარმოების მიზნით ფულადი შენატანი - 25 000 (ოცდახუთი ათასი)აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში,

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: - მე-5 სართულის ფართს 85 კვ.მ ;

17) მაგდა ბერიძე (დაბად.04.08.1998, მისამართი: **დ. ასპინძა ი.გოგებაშვილის ქ. N 10**, პ/ნ # 05001011840, პ.მ 13IB09747, გაც. 2013-07-15) წარმოდგენილი მისი მინდობილი პირით მარიამ ბერიძის(დაბად.17.04.1995, მისამართი: **დ. ასპინძა ი.გოგებაშვილის ქ. N 10**, პ/ნ # 05001012610, პ.მ 15IC89788, გაც. 2016-06-17) სახით, თანახმად მინდობილობისა რ.რ N160885492, დამოწმებული : ნოტ. ლიანა მინაძის მიერ, 09.08.2016წ.

შეაქვს ამხანაგობაში მშენებლობის წარმოების მიზნით ფულადი შენატანი - 25 000 (ოცდახუთი ათასი)აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში,

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: - მე-5 სართულის ფართს 85 კვ.მ ;

18) **მერაბი მერაბიშვილი** (დაბად.23.07.1983, მისამართი: **თბილისი მუხიანი II მ/რ კორ. 11 ბ. 59**, პ/ნ # 47001008689, პ.მ 12ID61426, გაც. 2013-04-26):

შეაქვს ამხანაგობაში მშენებლობის წარმოების მიზნით ფულადი შენატანი - 25 000 (ოცდახუთი ათასი)აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში,

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: - მე-5 სართულის ფართს 70 კვ.მ.;

19) **ნუგზარი მერაბიშვილი** (დაბად.02.01.1974, მისამართი: **ახალციხე წმ. ქეთევან დედოფლის ქ. N 38**, პ/ნ # 47001035249, პ.მ 11IB43684, გაც. 2012-01-16):

შეაქვს ამხანაგობაში მშენებლობის წარმოების მიზნით ფულადი შენატანი - 25 000 (ოცდახუთი ათასი)აშშ დოლარი ექვივალენტით ლარში,

სანაცვლოდ იღებს ასაშენებელი ობიექტიდან ფართს: - მე-5 სართულის ფართს 70 კვ.მ.;

1.2. <u>ამხანაგობის წევრთა დამატებითი შეთანხმება:</u>

ა) ამხანაგობის წევრებს შორის თამარ ფაჩულიასა (დაბად.08.05.1976, მისამართი: თბილისი კ.მესხის ქ. II აღმ. N 9, პ/ნ # 01017009551, პ.მ ბ1060172, გაც. 2007-05-03) და **გიგა ივანიძეს** (დაბად.09.02.1993წ. გაცხადებული მისამართი: **ასპინძა ს. აწყვიტა მესხეთის ქ. N 17**, პ.ნ

05001012759, პ.მ 13IB15651, გაც.: 2013-07-23) შორის დაიდო მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულება უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, მუხიანის საცხოვრებელი რაიონი, შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ , (ნაკვეთიN1/29); მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.11.13.001.071 - 37 კვ.მ ფართი, რის მიხედვითაც თამარ ფაჩულია ვალდებულია შეასრულოს გამყიდველის ციური პატაშურის წინაშე არსებული ვალდებულება (ნასყიდობის თანხის გადახდა არაუგვიანეს 2016 წლის 21 დეკემბერისა), თამარ ფაჩულია(დაბად.08.05.1976, მისამართი: თბილისი კ.მესხის ქ. II აღმ. N 9, პ/ნ # 01017009551, პ.მ ბ1060172, გაც. 2007-05-03) ხდება უძრავი ნივთის მესაკუთრე და აცხადებს სურვილს მის მიერ საკუთრებაში მიღებული ფართის - შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ , (ნაკვეთიN1/29); მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.11.13.001.071 - 37 კვ.მ ფართის შეტანა მოხდეს წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ამხანაგობაში;

ბ) ამხანაგობის წევრებს შორის თამარ ფაჩულიასა (დაბად.08.05.1976, მისამართი: თბილისი კ.მესხის ქ. II აღმ. N 9, პ/ნ # 01017009551, პ.მ ბ1060172, გაც. 2007-05-03) და ზაურ ზაზაძეს (დაბად.03.12.1949, მისამართი: სოხუმი ტიტოვის II გას. N 33, პ/ნ # 62001023187, პ.მ 13IG96581, გაც. 2014-09-16) შორის წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე დაიდო წინარე ხელშეკრულება (რეგისტრაციის ნომერი: **N160743616, დამოწმებული: ნოტ. ანა ქაჯაის მიერ,** 06 ივლისი 2016წ.), რის თანახმადაც ზაურ ზაზაძის შესასრულებელ ვალდებულებას 33 000 (ოცდაცამეტი ათას) აშშ დოლარს და 17 000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარს შალვა დევდარიანის (დაბად.19.09.1948, მისამართი: თბილისი კ.მარჯანიშვილის ქ. N 30ა, პ/ნ # 01005000700, პ.მ 13ჰ63481, გაც. 2015-04-29) მიმართ ასრულებს თამარ ფაჩულია (აქედან 17 000 ლარი უკვე გადახდილია თამარ ფაჩულიას მიერ) , სანაცვლოდ ზაურ ზაზაძე იღებს ვალდებულებას, მშენებლობის დაწყებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში მის ნაცვლად გადასახდელი თანხები გადაუხადოს (დაუბრუნოს უკან) თამარ ფაჩულიას, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, ზაურ ზაზაძის მიერ მისაღები ფართი მე-3 სართულზე შემცირდეს 100 კვ.მ. ფართით თამარ ფაჩულიას სასარგებლოდ, კერძოდ: უძრავ ქონებაზე განშლის რეგისტრაციის დროისთვის თამარ ფაჩულია ვალდებულების სახით დაარეგისტრირებს შეზღუდვას საჯარო რეესტრში ზაურ ზაზაძის კუთვნილი ფართიდან 100 კვ. მ ფართზე განკარგვის აკრძალვის შესახებ, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში (თანხის გადაუხდელობის ან ნაწილობრივ გადაუხდელობის)თამარ ფაჩულია უფლებამოსილია მოითხოვოს აღნიშნული ფართის საკუთრებაში გადაცემა, ასევე თამარ ფაჩულია იღებს ვალდებულებას (განშლის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ) , რომ უზრუნველყოფს თანხის გადახდამდე შალვა დევდარიანისთვის გარანტიის სახით ამავე მშენლობაზე არსებული 100 კვ.მ ფართის იპოთეკით დატვირთვას სოფია-ელენე ლინდნერის სახელზე არსებული ფართიდან.

გ) ამასთან, ამხანგობის წევრები თანხმდებიან, რომ ამხანაგობის წევრებს შორის დღეის მდგომარეობით გაუნაწილებელი ფართები ან/და პროექტის კორექტირების შემთხვევაში დამატებითი ფართები, რომელიც ამხანაგობის სხვა წევრებზე არ არის განაწილებული გადავიდეს ამხანაგობის წევრების: **პაატა მაისურაძის** (დაბად.1978-12-21. გაცხადებული მისამართი: **თბილისი ვაშლიჯვარი, საჯარიშვილის ქუჩა N21**, პ.ნ 05001000617, პასპორტის N 06AD03493, გაც.: 2007-03-02) და თამარ ფაჩულიას (დაბად.08.05.1976, მისამართი: თბილისი კ.მესხის ქ. II აღმ. N 9, პ/ნ # 01017009551, პ.მ ბ1060172, გაც. 2007-05-03) საკუთრებაში თანაბარწილად , ამხანაგობის წევრების დამატებითი თანხმობის გარეშე;

დ) წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით, ამხანაგობის წევრები თანხმდებიან, რომ მათ მიერ განხორციელებული შენატანის სანაცვლოდ მისაღები ფართები ექვივალენტურია მათ მოთხოვნებთან, დამატებითი მოთხოვნები და პრეტენზიები ფართის მოცულობასთან დაკავშირებით დღეის მდგომარეობით არ არსებობს და არც წარმოიშობა.

ე) ამხანაგობის წევრები ასაშენებელ ფართებს მიიღებენ შემდეგ მდგომარეობაში:

ე.წ. შავი კარკასის სახით;

ვ) ამხანაგობის წევრები ასევე, იღებენ ვალდებულებას პროექტის მიხედვით უზუნველყოფენ მშენებარე ობიექტის მეზობლად მდებარე კომპანიის - შპს ცქიფოს საზღვართან არსებული საყრდენი კედლის აღდგენითი სამუშაოების შესრულებას.

1.3. ამხანაგობის წევრების წილი მშენებარე ობიექტში, რომლებმაც ამხანაგობაში განახორციელეს შენატანი, განისაზღვრება მათი უფლებით, მშენებარე ობიექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ, საკუთრებაში მიიღონ უძრავი ქონება, შემდგომში კი განშლის ოქმში განაწილებული ქონების მიხედვით მოხდება საკუთრებაში მისაღები ქონების იდენტიფიცირება (ზუსტი ნიშნული, ფართი , მხარე);

2. ამხანაგობის იმ წევრების მიერ, რომლებსაც ამხანაგობაში შეაქვთ ქონებრივი შენატანი მიწისა და შენობა - ნაგებობების სახით, შენატანი სრული მოცულობით განხორციელებულად ჩაეთვლებათ ამ ქონების ამხანაგობის საერთო საკუთრებად საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3.ამხანაგობის დანარჩენ მონაწილეებს, ვისაც თანხა შეაქვთ ამხანაგობაში, შენატანის სახით ევალებათ მშენებარე ობიექტის აშენების უზრუნველყოფა (ექსპლუატაციაში მისაღებ მდგომარეობამდე). ამხანაგობის სხვა წევრები არ მონაწილეობენ მშენებარე ობიექტის აშენების დაფინანსებაში (გარდა მომავალში ხელშეკრულებით დამატებით მიღებული ამხანაგობის წევრებისა, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ამხანაგობის ყველა წევრის ვალდებულებას წარმოადგენს, ასევე მშენებარე ობიექტისთვის კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია, დენი, გაზი) მიყვანა ობიექტამდე შესაბამისი ხარჯების გათვალიწინებით (ამხანაგობის წევრების მიერ მათი წილის პროპორციულად) ;

5. ამხანაგობის ის წევრები, რომლებიც გაიღებენ თანხებს ამხანაგობის მიზნის მიღწევისათვის, აქვთ ამხანაგობაში შესაბამისი წილი უფლებები. პირობები ამ უფლების განხორციელების შესახებ ჩამოყალიბდება ამ ხელშეკრულებაში და ამხანაგობის ამ წევრებთან დადებული ინდ. ხელშეკრულებებით (მომავალში);

6.ამხანაგობის წევრთა თითოეულ მონაწილის შენატანის ოდენობა, რაც დადგენილია წინამდებარე ხელშეკრულებით, არ შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს მათი თანხმობის გარეშე. თუ შენატანი აღმოჩნდება უფლებრივად და ან/და ნივთობრივად ნაკლის მქონე, შენატანის განმხორციელებელი ამხანაგობის ის წევრი ვალდებულია მისი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი. ამხანაგობის წევრები უფლებამოსილი არიან თვითონ გამოასწორონ არსებული ნაკლი ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან 8 თვეზე მეტი ხნით შეყოვნებული მშენებლობა დაასრულონ თავიანთი ხარჯით და შესაბამისი ფართის ან ანაზაღაურების მოთხოვნის უფლება დააყენონ იმ ამხანაგობის წევრის წინაშე ვინც არ განახორციელა სათანადო ფულადი შენატანი მშენებლობისთვის მიმდინარე პროცესის დროს (ასეთი შემთხვევის დადგომის შემთხვევაში).

7. ამხანაგობის თითოეული მონაწილე პასუხს აგებს ამხანაგობის სხვა წევრებისათვის მიყენებული ზიანის გამო. ამასთანავე, ეს ზიანი არ შეიძლება დაიფაროს ამხანაგობის მიერ მიღებული შემოსავლებით.

8. ამხანაგობის თითოეული მონაწილე თვითონ არის მის კუთვნილ ფართზე პასუხისმგებელი საგადასახადო ორგანოების წინაშე წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზე - გადასახადებზე (გასხვისების ან სხვა შემთხვევაში).

9. ამხანაგობის წევრები: **გიორგი კონსტანტინე ლინდნერი, სოფია ელენე ლინდნერი , ქეთევან ლინდნერი , ნოე ილია ლინდნერი, გიგა ივანიძე, პაატა მაისურაძე, მაგდა ბერიძე ,მარიამ ბერიძე და მაყვალა მაისურაძე** - რომლებიც ფულად შენატანს ახორციელებენ ობიექტის მშენებლობისთვის იღებენ ვალდებულებას მშენებლობის დასრულებამდე არ განკარგონ მე-2, მე-4 , მე-5 სართულის ფართის ნაწილი და მე-6 სართულის ფართები, ავტოპარკინგის ფართი სრულად, რომელიც წარმოადგენს საგარანტიო ფართს მშენებლობის დასრულებისთვის. განკარგვაზე თანხმობა დასაშვებია, მხოლოს ამხანაგობის გამგეობის თანხმობით და იმ პირობით, რომ რეალიზაციიდან მიღებული თანხები მოხმარდება ობიექტის მშენებლობას.

მუხლი5.
უფლებრივი და ნივთობრივი უნაკლოობის შესახებ

1. უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) მესაკუთრეები ადასტურებენ, რომ მათ ინდივიდუალურ და საერთო საკუთრებაში არსებული შენობები და მიწის ნაკვეთი, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლოა და არ წარმოადგენს მესამე პირთა მხრიდან დავისა და პრეტენზიის საგანს, არ იმყოფება სასამართლო განხილვის , ყადაღის და აკრძალვის ქვეშ, რეგისტრირებულია მხოლოდ იპოთეკის და ვალდებულების უფლება - თამარ ტრიანდაფილიდისა და მაია ვაწაძის წილზე ,და ციური პატაშურის ვალდებულება თანხის გადახდის შესახებ, აღნიშნული დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან N 882016504500 .

თამარ ტრიანდაფილიდისა და მაია ვაწაძის მიერ წარმოდგენილ იქნა იპოთეკარის თანხმობა და მომავალში გაწშლის რეგისტრაციის შემდგომ იპოთეკისგან მიწის ნაკვეთის გამონთავისუფლება და მათ კუთვნილ ფართებზე იპოთეკის გადატანა (აღნიშნული თანხმობა თან ერთვის წინამდებარე შეთანხმებას);

მუხლი 6.
მესამე პირისათვის წილის გადაცემისა და წევრად მიღების წესი

1. მესამე პირი ამხანაგობის წევრი შეიძლება გახდეს წილის (წილის ნაწილის) შეძენით ან მემკვიდრეობით, ან მომავალში პროექტის ცვლილების შემთხვევაში (გაზრდის დროს) დამატებითი შენატანის განხორციელების გზით სანაცლოდ ფართის მისაღებად, რომელიც საჭიროებს სათანადო წესით დამოწმებულ შეთანხმებას;

2.თითოეულ დამფუძნებელს ამხანაგობაში თავისი წილი უფლება შეუძლია გადასცეს მესამე პირს. წილის გადაცემა გულისხმობს უფლების გადაცემას და არა წილის შესაბამის მატერიალური ნივთის გასხვისებას.

3. წილის (წილის ნაწილის) შეძენა ხორციელდება წილის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე. წილის (ნაწილის) შემძენზე გადადის წილის დამთმობის ყველა უფლება და ვალდებულება შეძენილი წილის პროპორციულად.

4.წილის გასხვისება საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებასა და წინამდებარე აქტში შესაბამისი ცვლილების შეტანას.

5. რამდენიმე მემკვიდრის შემთხვევაში მათზე წილი გადადის თანაბრად, თუ მათ შორის სხვა შეთანხმება არ იქნა მიღწეული.
6. დამფუძნებელთა ის მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ, რომლებიც გამომდინარეობს წინამდებარე ხელშეკრულებიდან არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს (პირადი ხასიათის დავალებები);
7. ახალი წევრები აისახება ბინების განაწილების შესახებ, მომავალში გაწშლის ოქმში სათანადო ხელშეკრულებების საფუძველზე;

მუხლი7.
ამხანაგობის მართვის ორგანოები

1. ამხანაგობის დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობის მართვის ორგანოებია:
ა) წევრთა საერთო კრება;
ბ) გამგეობა;
გ) ამხანაგობის თავმჯდომარე.
2. ამხანაგობის წევრთა საერთო კრება იკრიბება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევაში ან ამხანაგობის ინტერესებიდან გამომდინარე. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია , თუ მას ესწრება წევრთა 50%-ზე მეტი. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

3. საერთო კრების კომპეტენციას მიეკუთვნება:

ა) გამგეობის წევრების არჩევა და განთავისუფლება;

ბ) ამხანაგობის წევრების გარიცხვაზე წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დარღვევის დროს გადაწყვეტილების მიღება;

გ) ზოგადი მონიტორინგის განხორციელება ამხანაგობის გამგეობისა და თავმჯდომარის საქმიანობაზე;

დ) გადაწყვეტილების მიღება ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის (ლიკვიდაციის) ან ვადის გაგრძელების შესახებ;

ე) საერთო საკუთრებაში არსებული ფართების განაწილება;

ვ) ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა;

ზ) წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/ და დამატების შეტანა;

თ) იპოთეკურ და კრედიტებასთან ან/და სხვა საბანკო პროდუქტთან დაკავშირებული გარიგება;

ი) ამხანაგობის მიერ თავდებობის წერილის გაცემა, ან სხვა მსგავსი გარიგება, მესამე პირთა გარანტიის (თავდებობის) მიღება;

კ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

4. ამხანაგობის საერთო ხელმძღვანელობასა და ამხანაგობის თავჯდომარის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს ამხანაგობის გამგეობა, რომელიც შედგება სამი წლით არჩეული **ოთხი წევრისგან.**

5. გამგეობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს - ამხანაგობის თავმჯდომარეს.

6. ამხანაგობის გამგეობა იკრიბება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევაში ან ამხანაგობის ინტერესებიდან გამომდინარე. გამგეობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა 50%-ზე მეტი. კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

7. გამგეობის კომპეტენციას წარმოადგენს:

ა) ზოგადი მონიტორინგის განხორციელება ამხანაგობის თავმჯდომარის საქმიანობაზე;

ბ) მშენებარე ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების საკითხების ორგანიზება, პროექტის კორექტირება, ცვლილებების განხორციელება და მათი დამტკიცება, შემდგომში წინამდებარე შეთანხმებაში მითითებული ფართების განწლის რეგისტრაციის შემდგომ დამატებითი ფართების განაწილების საკითხების გადაწყვეტა;

გ) ამხანაგობის საშტატო განრიგის დამტკიცება;

დ) ამხანაგობის ფინანსური სახსრების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ე) ამ აქტით დადგენილი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარიგება.

ვ) თანხმობის მიცემა ამხანაგობიდან გასვლის, ან და ამხანაგობის წევრად მიღების შესახებ;

ზ) ამხანაგობის თავჯმდომარის არჩევა და გათავისუფლება;

8. ამხანაგობის წევრთა საერთო კრებისა და ამხანაგობის გამგეობის სხდომის თაობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

9. ამხანაგობის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს ამხანაგობის თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა ამხანაგობის გამგეობის კრების მიერ 3 წლის ვადით, რომელიც უფლებამოსილია ამხანაგობა წარმოადგინოს მესამე პირებთან ურთიერთობაში, ყველა დონის ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოში (ადმინისტრაციულ ორგანოებში იგულისხმება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საგადასახადო ინსპექცია, ქ. თბილისის მერია, სანოტარო ბიუროები და სხვა ნებისმიერი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან);

10. ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.

11. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. იგი პასუხს აგებს თავისი ქონებით ამხანაგობისათვის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის.

12. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

13. თითოეულ დამფუძნებელს (მონაწილეს) უფლება აქვს დაუბრკოლებლად გაეცნოს ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტაციას და მიიღოს სხვა ინფორმაცია.

14. ამხანაგობის გამგეობის წევრად არჩეულ იქნენ :

თამარ ფაჩულია (დაბად.08.05.1976, მისამართი: თბილისი კ.მესხის ქ. II აღმ. N 9, პ/ნ # 01017009551, პ.მ ბ1060172, გაც. 2007-05-03):

გიგა ივანიძე (დაბად.09.02.1993წ. გაცხადებული მისამართი: **ასპინძა ს. აწყვიტა მესხეთის ქ. N 17**, პ.ნ 05001012759, პ.მ 13IB15651, გაც.: 2013-07-23);

იამზე თავართქილაძე (დაბ:27.04.1947, მისამართი: **თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 40 ბ. 21**, პ/ნ # 01026009306, პ.მ ბ0266039, გაც. 1999-09-23);

პაატა მაისურაძე (დაბად.1978-12-21. გაცხადებული მისამართი: **თბილისი ვაშლიჯვარი, საჯარიშვილის ქუჩა N21**, პ.ნ 05001000617, პასპორტის N 06AD03493, გაც.: 2007-03-02) ;

15. ამხანაგობის თავჯმდომარედ არჩეულ იქნა:

თამარ ფაჩულია (დაბად.08.05.1976, მისამართი: თბილისი კ.მესხის ქ. II აღმ. N 9, პ/ნ # 01017009551, პ.მ ბ1060172, გაც. 2007-05-03);

მუხლი 8.

გადაწყეტილებათა მიღების წესი

1. გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამომდინარეობს ამხანაგობის საქმიანობიდან, გარდა ამ ხელშეკრულების შესაბამისად, საერთო კრებისა და გამგეობის კომპეტენციას დაქვემდებარებული საკითხებისა, ერთპიროვნულად იღებს ამხანაგობის თავმჯდომარე. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ზიანს მიაყენებს ამხანაგობის წევრების კანონიერ ინტერესებს.

2. ამხანაგობის ყველა დამფუძნებლის თანხმობით მიიღება გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:

1) ამხანაგობაში დამატებითი შენატანების ოდენობის დადგენა;

2) ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის რეალიზაცია ;

3) ამხანაგობის წევრებს შორის ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ფართების განაწილება.

მუხლი 9.

ფართების განაწილების წესი

1. ამხანაგობის წევრების კუთვნილი ფართების განაწილების საკითხები წყდება საერთო კრებაზე, რომელიც ყველა დამფუძნებლის თანხმობით ადგენს მათთვის გასანაწილებელ ფართებს. ამხანაგობის წევრები ვალდებულნი არიან მკაცრად დაიცვან სამართლიანობის პრინციპები.

